საექსპერტო შეფასება

***ანგარიშზე** „ქ. თბილისი, კედიას ქ. №10-ში, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის (ს/კ 01.13.06.008.091) საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევა“.*

შპს „ბიჯი“-ს ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენს მიერ 2019 წლის 13 ნოემბერს შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, კედიას ქ. №10-ში, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე (ს/კ 01.13.06.008.091) ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, კედიას ქ. №10-ში, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე (ს/კ 01.13.06.008.091) ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შ.პ.ს. „ახალი საქქალაქმშენპროექტი“-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2019 წლის ნოემბერში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი, ინჟინერ-გეოლოგი ნ. ილაშვილი. მათ გეოტექნიკურ ლაბორატორიაშია შესრულებული გრუნტების თვისებების გამოკვლევები და გრუნტის წყლის ქიმიური ანალზები.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე---------- 6 გვ.
2. ტექნიკური დავალება---------- 1 გვ.
3. ცხრილი გრუნტების თვისებებზე---------- 1 გვ.
4. ცხრილი გრუნტის წყლის ქიმიურ შედგენილობაზე---------- 1 გვ.
5. მოედნის ტოპოგეგმა---------- 1 ფურც.
6. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები---------- 1 ფურც.
7. მოედნის გეოლოგიური ჭრილი---------- 3 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 20 სართულიანი, საცხოვრებელი სახლი. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკველს, მისი კონსტრუქცია და ჩაღრმავება გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ. ავღნიშნავთ, რომ სამუშაოების ნაწილი ეყრდნობამათ მიერ ადრე (2007წ.) ჩატარებულ გამოკვლევებს. მასალები ინახება ინახება მათ ფონდებში და მოიცავს გრუნტების გამოკვლევასაც. ამიტომ წარმოდგენილ ანგარიშში ეს მონაცემები არ არის

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა 2 ჭაბურღილი, მათი საერთო სიგრძე შეადგენს 19.5 მეტრს. ჭაბურღილებიდან აღებული იქნა ნიმუშები გრუნტების თვისებების დასახასიათებლად. აღებული იქნა აგრეთვე გრუნტის წყლის სინჯები მათი ქიმიზმის დასადგენად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 - ნაყარი გრუნტი;
2. ფენა 2 - თიხა, ყავისფერი, ძნელადპლასტიკური კონსისტენციის, კენჭების ჩანართებით 5-10%-მდე;
3. ფენა 3 – თიხა, რბილპლასტიკური კონსისტენციის, კენჭების 5-10%-მდე შემცველობით;
4. ფენა 4 – კენჭნარი, თიხნარის შემავსებლით 25-30%-მდე;
5. ფენა 5 - კენჭნარი, ქვიშნარის შემავსებლით 25-30%-მდე;
6. ფენა 6 - ძირითადი ქანი, არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა, გამოფიტული.

ანგარიშში მოკლედ არის მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები. დახასიათებულია ზემოაღნიშნული ქანები. მათგან პირველი ფენის, ნაყარის თვისებები არ გამოკვლეულა, ვინაიდან იგი შენობის ფუძედ არ გამოდგება. შემდეგი ფენა თიხებით არის წარმოდგენილი. აღნიშნული ფენა კონსისტენციის მიხედვით ორ ნაწილად არის დაყოფილი. ზედა ფენა ძნელადპლასტიკური კონსისტენციის და ქვედა ფენა რბილპლასტიკური კონსისტენციის. შემდეგი ფენა კენჭნარებით არის წარმოდგენილი. იგი შემავსებლის მიხედვით დაყოფილია ორად: თიხნარის შემავსებლით სისქით 2.1-2.8 მ. და ქვიშნარის შემავსებლით, სიმძლავრით 1.3-1.5 მ.. მათ ქვეშ განთავსებულია ძირითადი ქანები, არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა. მოცემულია მათი წოლის ელემენტები: მიმართების აზიმუტი ს.დ. 230^0, ხოლო ქანების დახრის კუთხეა $20\text{-}25^0$. ანგარიშში აღნიშნულია, რომ ტერიტორია მდგრადია და უარყოფითი საინჟინრო გეოლოგიური პროცესების განვითარება არაა მოსალოდნელი.რიტადი

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გახსნილი იქნა მიწის ზედაპირიდან 2.1-3.3 მ. სიღრმეზე. წყალი თავისი ქიმიური შედგენილობით, სუსტად აგრესიულია W_4 წყალშეღწევადობის მარკის ბეტონის ნაკეთობების მიმართ.

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, კედიას ქ. №10-ში, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე (ს/კ 01.13.08.008.089) ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს ავღნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებული მშენებელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი /გ. ჭოხონელიძე/

CV – ჭოხონელიძე გუგა

გვარი სახელი, ამის სახელი	ჭოხონელიძე გუგა ილიას ძე
ბინის ტელეფონის ნომერი	ქ. თბილისი, კეკელიძე №10, ბინა 25 ტელ: 2-22-00-44
დაბადების თარიღი	1928 წლის 16 თებერვალი
განათლება	1945 წელს დავამთავრე ქ. თბილისის 12 ვაჟთა სკოლა, 1950 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, მშენებელ-ინჟინერის სპეციალობით, 1972 წელს დავამთავრე იგივე ინსტიტუტი, ინჟინერ გეოლოგიის სპეციალობით.
მინიჭებული კვალიფიკაცია	1974 წელს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (დიპლომი) 1975 წელს პროფესორი საინჟინრო გეოლოგიაში (დიპლომი) 2000 წელს საქართველოს საინჟინრო აკადემიის – აკადემიკოსი.
საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება	1950-1958 წწ. ჰიდროგეოლოგიისა და მელიორაციის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; 1958-1974წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში; 1983 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გრუნტების მექანიკის და ფუძე - საძირკვლების მიმართულების ხელმძღვანელი.
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები	გამოქვეყნებულია 98 სამეცნიერო შრომა, მათ შორის მონოგრაფიულია "საქართველოს ლიოსისებული გრუნტები" (1976წ) და "ამიერკავკასიის ლიოსისებული გრუნტები " (1988წ) შესწავლილი და ანგარიშები დაწერილი მაქვს ენგურის ჰიდროელექტროსადგურის, ქ. თბილისის, ქ. რუსთავის სოხუმის და ქ. ფოთის საინჟინრო "გეოლოგიურ პირობები გაცემული მაქვს 100-ზე მეტი საექსპერტო დასკვნა მშენებლობასთან დაკავშირებული ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე მაქვს გამოგონებები გრუნტების გამაგრებაზე. "გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლები" 2005 წ. და "საინჟინრო ნაგებობები" (2012წ.) ვარ ავტორი სამშენებლო ნორმების: 2.02.01-2003წ. "შენობა-ნაგებობათა ფუძე-საძირკვლები".
უცხო ენების ცოდნა	ქართული-მშობლიური; რუსული-კარგად; ინგლისური-ლექსიკონის დახმარებით.



საქართველოს რესპუბლიკა

მოქალაქის პირადობის მოწმობა

პირადი № 01026010539

სახელი გიგა

გვარი გოხონელიძე

დაბადების თარიღი 16.02.1928 წ.

დაბადების ადგილი თბილისი

ეროვნება ------

№ ღ 0266413

გ. ქოხონელიძე

პირადი ხელმოწერა



მოქალაქეობა ------

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება თბილისის საბურთალოს რაიონის მ.ს. მეორე ქვეგანყოფილება

გაცემის თარიღი. 29.09.2000 წ.

მოქმედების ვადა ------

ბ.ა. თანამდებობის პირის ხელმოწერა

დ ი პ ლ ო მ ი

ს ე რ ი ა ... № ...

...ის დიპლომი ...ას ...ს ...
...ს ...ს ...
...ში ...ის ...ის ...ის ...
...ის ...ის ...ის ...
...ის ...ის ...ის ...
და 1972 წლის ...ში ...
...ის ...ის ...
...
...ის ...ის ...
...ის ...ის ...
...
...ის ...ის ...
...ის ...ის ...
...
...ის ...ის

ДИПЛОМ

ДОКТОРА НАУК

МТН № 007499

Москва 23 декабря 1975 г.

Решением

Высшей Аттестационной Комиссии

от 28 ноября 1975 г. (протокол № 18)

Чохонелидзе Гуге Ильичу

ПРИСУЖДЕНА УЧЕНАЯ СТЕПЕНЬ ДОКТОРА

ТЕХНИЧЕСКИХ НАУК

Председатель Высшей Аттестационной Комиссии

Ученый Секретарь Высшей Аттестационной Комиссии